ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1104571

ნომერი: AR1186631

თარიღი : 23.12.2013

გაცემის თარიღი : 31.01.2014

გაცნობის თარიღი : 04.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხვამლი , N 8 (ნაკვეთის N 1/8);

თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 104

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი აბაშიძე პ/ნ 01031003397

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქეებმა ირაკლი აბაშიძემ 23.12.2013 წ. #AR1186631 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 27.03.2009 წ. #221 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, საპროექტო ობიექტის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 27.03.2009 წ. ქ. თბილისში, ხვამლის ქ. #8-ში არსებულ საკადასტრო ერთეულზე საოფისე შენობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: სასტუმროს დაფიქსირებას.

სამსახურის 27.03.2009 წ. #221 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სპეციალური ზონალური ნებართვით შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქცია დაფიქსირდეს – სასტუმრო;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი – შენობა–ნაგებობის მიწისქვეშა სივრცე ათვისებულ იქნეს ავტოფარეხებით, შეიცვალოს ჩანაწერით: – საჭიროების შემთხვევაში შენობის მიწისქვეშა სივრცის გამოყენება მოხდეს საპროექტო ობიექტის ფუნქციის და ნაკვეთის შესაძლებლობის შესაბამისად;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დამატებით დოკუმენტაციად დაემატოს: – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოქმი #02/08–317 (24.01.14.), ხოლო სხვა პირობები და მოთხოვნები მოთხოვნები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

258.13/14
27.12.13

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

სს ბანკი „რესპუბლიკა" თანახმაა, რომ მოხდეს ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8-ში (საკ. კოდი: N01.13.08.001.008) მდებარე შპს "ჯი-დი დეველოპმენტი"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დემონტაჟი და ახალი მშენებლობის დაწყება.

პატივისცემით,

ია გაბუნია
კორპორაციული საბანკო
საქმიანობის სამსახურის
უფროსის მოადგილე


ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა"
გრ. აბაშიძის ქ. 2
თბილისი, 0179
საქართველო

ტელ.: (995 32) 292 55 55
ფაქსი: (995 32) 292 55 44
E-mail: info@republic.ge
www.republic.ge

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრები

საკადასტრო ნაკვეთის ფართობი

საკადასტრო ნაკვეთის ნომერი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის ნომერი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის კოორდინატები

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის სიზუსტე

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის განსაზღვრის მეთოდი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშანი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშნის ტიპი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშნის მდგომარეობა

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშნის ფოტო

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშნის ფოტოს ნომერი